



Georgia
Made by Characters
Guest of Honour
Frankfurt Book Fair 2018

**საქართველო -
2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის
საპატიო სტუმარი ქვეყანა**

**კულტურული პროგრამა
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს**

მუსიკალური პროგრამა:	საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი
თეატრალური პროგრამა:	სსიპ კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
კინოპროგრამა:	საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
საგამოფენო პროგრამა:	სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი სსიპ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი - ხელოვნების სასახლე სსიპ შემოქმედებითი საქართველო

მუსიკალური პროგრამა 2018

2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ჩვენი ქვეყნის თანამედროვე კულტურის წარმოჩენის საუკეთესო შესაძლებლობაა, რომლის ფარგლებშიც გერმანიის ცნობილი საკონცერტო სივრცეები და ფესტივალები უმასპინძლებენ მსოფლიოში სახელგანთქმულ ქართველ მუსიკოს-შემსრულებლებს: ჰამბურგის ელბფილარმონია წარმოგვიდგენს დუდანა მაზმანიშვილს და საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრს ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით; ბერლინის კონცერტჰაუზი უმასპინძლებს საქართველოს სიმფონიეტას და ქრისტიან იარვის; ფრანკფურტის რივერ ბენქ ფესტივალზე სამი დღის მანძილზე წარმოდგენილი იქნება მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა; ბერლინის ფილარმონიაში მსმენელის წინაშე წარდგებიან ქართველი საოპერო ვარსკვლავები: ნინო მაჩაიძე, ბადრი მაისურაძე, გიორგი გაგნიძე, იანო თამარი და სხვ. თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ვახტანგ კახიძის დირიჟორობით; დავით ევგენიძე კონცერტს მიუნჰენის ფილარმონიაში გამართავს; ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის გახსნის ცერემონიაზე კი მსმენელის წინაშე ხატია ბუნიათიშვილი წარდგება; არტე წარმოგვიდგენს ლიზა ბათიაშვილს, დუდანა მაზმანიშვილს, ბექა გოჩიაშვილსა და kordz; ქართული ნაციონალური ბალეტი სუხიშვილები კლასიკურ და თანამედროვე პროგრამას გვთავაზობენ; ანსამბლი რუსთავი - ქართულ ფოლკლორულ სიმღერებსა და საგალობლებს; ფრანკფურტის ალტე ოპერა კი ლიზა ბათიაშვილს უმასპინძლებს... 2018 წელს დაგეგმილი უანობრივად მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამებით ევროპელ მსმენელს საშუალება ექნება უკეთ გაიცნოს საქართველო - თავისი უძველესი, გამორჩეული და მრავალფეროვანი კულტურით.


20 თებერვალი 2018

კინოფესტივალის ბერლინალეს მიღება - Vertretung Mecklenburg Vorpommern in Berlin
ვალერიან შიუკაშვილი (ფორტეპიანო), ნიკა მაჩაიძე და ნატალია ბერიძე



2 აპრილი 2018

ჰამბურგის ელბთელარმონია
საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, დუდანა მაზმანიშვილი
(ფორტეპიანო) და ნიკოლოზ რაჭველი (დირიჟორი)



17 აგვისტო 2018

ბერლინის კონცერტჰაუზი
საქართველოს სიმფონიეტა, ქრისტიან იარვი (დირიჟორი), დუდანა მაზმანიშვილი
(ფორტეპიანო), ირაკლი კიზირია (ელექტრონული მუსიკა)
კონცერტი დაგეგმილია ფესტივალის YOUNG EURO CLASSIC-ის ფარგლებში



24-26 აგვისტო 2018

რივერ ბენქ ფესტივალი



- ჯაზ-სექსტეტი Quintessence
- kordz & გიორგი ცაგარელი
- ნინო ქათამაძე & INSIGHT
- ანსამბლი ირიაო
- ნათია თოდუა
- პატარა გეორგიკა
- მოძრაობის თეატრი
- ანსამბლი ლაპრები
- თოჯინური ოპერა
- პანტომიმის თეატრი
- Georgian Brass & Strings

26 სექტემბერი 2018

ბერლინის ფილარმონია
თბილისის სიმფონიური ორკესტრი
ვახტანგ კახიძე, დირიჟორი
ქართული საოპერო ვარსკვლავები - ნინო მაჩაიძე, ბადრი მაისურაძე, ნინო სურგულაძე,
გიორგი გაგნიძე, იანო თამარი, სალომე ჯიქია, ქეთევან ქემოკლიძე, გია ონიანი, რამაზ
ჩიკვილაძე



6 ოქტომბერი 2018

მიუნჰენის ფილარმონია
დავით ვეგენიძე (კომპოზიტორი / პიანისტი / პოეტი)



11 ოქტომბერი 2018

Arte Lounge - ლიზა ბათიაშვილი, დუდანა მაზმანიშვილი, ბექა გოჩიაშვილი, kordz



13 ოქტომბერი 2018

ფრანკფურტის ალტე ოპერა
ლიზა ბათიაშვილი, ვიოლინო
საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი და ნიკოლოზ რაჭველი
გორის ქალთა გუნდი და თეონა ცირამუა, სამების ტაძრის საპატრიარქო გუნდი და სვიმონ
ჯანგულაშვილი



17 ნოემბერი 2018

მიუნჰენის თეატრი Hoch - X
მანანა მენაბდე



თეატრალური პროგრამა 2018

თანამედროვე ქართული დრამატურგია და კლასიკა

ჩვენ პოლიტიკური, გეოგრაფიული, საზოგადოებისა და კულტურის რადიკალური ცვლილებების ეპოქაში მოგვინია ცხოვრებამ. თეატრი საუკეთესოდ ასახავს ქვეყნის განწყობას, მის მდგომარეობას. თუ ჩვენ დღევანდელ თეატრზე ვლაპარაკობთ - ესაა თეატრი დამოუკიდებლობიდან 25 წლის განმავლობაში; ამბავი, რომელიც ჩვენ გადაგვხდა - ამბავი ომების, რევოლუციებისა; ამბავი მისწრაფებების; ამბავი იმედისა და სირთულეების; ამბავი ინდივიდუალური და კოლექტიური იდეებისა - თეატრი სწორედ ამ მოგზაურობას ასახავს; თეატრი - წარსული დიდებისა და ახალი თაობების გზაჯვარედინზე; თეატრი - ახალი გამოწვევებით ქვეყანასთან ერთად.

თეატრალური პროგრამა საქართველოს უახლესი ისტორიის და კულტურის სარკეა. წარსულსა და მომავალს შორის მოქცეული თეატრი ერთგვარი სიმბოლოა საზოგადოების მორალური ტემპერატურისა და განახლების მუდმივი წყარო.

„წიგნის ბაზრობის“ თანმდევნი თეატრალური პროგრამა განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს - ამოცანა მკვეთრად განსხვავებულია პროფესიული თეატრალური ფესტივალებისა და ბაზრობებისაგან. თეატრალური პროგრამის მიხედვით ჩვენი მიზანია ქართველი ავტორების წარმოჩენა თეატრში და თეატრთან ერთად. ამიტომაც პროგრამის ჩამოყალიბებისას გადამწყვეტია:

თანამედროვე ქართულ დრამატურგიას და კლასიკა;

სპექტაკლები, რომელთა საპრემიერო თარიღები არაუგვიანეს 2016 წლითაა დათარიღებული

თანამედროვე ქართული თეატრის პროგრამა დიკუსიის მცდელობაა ევროპასთან ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებში. დისკუსიისა, რომელიც აუცილებელია ეხლაც და რომელსაც გაგრძელების პერსპექტივა აქვს თეატრშიც და დრამატურგიაშიც.

მთავარი პროგრამა:

ოქტომბერი 2, 2018

დავით გაბუნია, დათა თავაძე

პრომეთე / დამოუკიდებლობის 25 წელი

სამეფო უბნის თეატრი

რეჟისორი დათა თავაძე

ადგილი: Künstlerhaus Mousonturm

ოქტომბერი 3, 2018

ტექსტი შექმნილია „ღია სივრცის“ ანსამბლის მიერ
მშობელთა კრება

ღია სივრცე

რეჟისორები მიხეილ ჩარკვიანი, დავით ხორბალაძე

ადგილი: Künstlerhaus Mousonturm

ოქტომბერი 4, 2018

სტიქსი

რუსთაველის თეატრი

რეჟისორი რობერტ სტურუა

ადგილი: Künstlerhaus Mousonturm

ოქტომბერი 5, 2018

ბასა ჯანიკაშვილი

დიქტატურა

ვალერიან გუნიას სახელობის ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრი

რეჟისორი დავით მღებრიშვილი

ადგილი: Künstlerhaus Mousonturm

ოქტომბერი 6, 2018

ლაშა ბულაძე

ნავიგატორი

მარჯანიშვილის თეატრი

რეჟისორი ლევან წულაძე

ადგილი: Künstlerhaus Mousonturm

ოქტომბერი 8, 2018

ევზერსისი

მუსიკისა და დრამის თეატრი

რეჟისორი მანანა ბერიკაშვილი

ადგილი: Künstlerhaus Mousonturm

ოქტომბერი 11, 2018

ლაშა იმედაშვილი

იესოს საქმე

სოხუმის თეატრი

რეჟისორი დავით საყვარელიძე

ადგილი: Atelier Frankfurt (TBC)

ოქტომბერი 17, 18, 2018

რამონა

გაბრიელის თეატრი

ავტორი და რეჟისორი რემო გაბრიელე

ადგილი: Schauspiel Frankfurt

დამოუკიდებელი პროექტები:

ოქტომბერი 7, 2018

ალექსი ჩიღვინაძე

მინა თავისას მოითხოვს

დამოუკიდებელი პროექტი

რეჟისორი ავთო დიასამიძე

ადგილი: Künstlerhaus Mousonturm

ოქტომბერი 12, 2018

DJ set და პოეზია

ადგილი: Künstlerhaus Mousonturm

ქართული ფანტაზიები

თითების თეატრი

ავტორი და რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი

ადგილი: დგინდება

თარიღი დგინდება

ავთანდილ ვარსიმაშვილი

მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ

თავისუფალი თეატრი

რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი

ადგილი: Badisches Staatstheater Karlsruhe

თარიღი ღვინდება

თუმანიშვილის თეატრი

ადგილი: **Badisches Staatstheater Karlsruhe**

თარიღი ღვინდება

დათო ტურაშვილი

ცხინვალის თეატრი

მატარებელი

რეჟისორი გოჩა კაპანაძე

ადგილი: **Badisches Staatstheater Karlsruhe**

თარიღი ღვინდება

ბასა ჯანიკაშვილი

სანამ ერთმანეთს გავიცნობდით

დამოუკიდებელი პროექტი

რეჟისორი ზურაბ გენაძე

ადგილი: ღვინდება

პროექტები გერმანიიდან და შვეიცარიიდან:

- სუფრა
- გათვლა

დამატებითი ღონისძიებები:

- ვორქშოპები
- მასტერკლასები
- ლექციები
- პიესების კითხვა
- მაყურებელთან შეხვედრა
- ქართული ღვინო და ქეთერინგი Künstlerhaus Mousonturm - ში

Partners in Frankfurt:

Künstlerhaus Mousonturm



Schauspiel Frankfurt



Partners of Program:

Badisches Staatstheater Karlsruhe



Schauspiel Dortmund



კინო პროგრამა 2018

ქართული კინოსერია 2018


2018 წლის ოქტომბერში დაგეგმილ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, გერმანიის კინოს მუზეუმთან Deutsches Filmmuseum და კინოს და ვიდეო ხელოვნების ინსტიტუტი - არსენალთან ერთად, გამართავს ქართული კინოს ჩვენებებსა და დისკუსიებს, რომელიც მოიცავს კლასიკურ პერიოდს უხმო კინოს ხანიდან, საქართველოს მიერ 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე.

ნაჩვენები იქნება 15 ფილმი, მათ შორის ავანგარდული უხმო კინოს ნიმუშები, როგორცაა კოტე მიქაბერიძის ფილმი „ჩემი ბებია“ (1929 წ.) და მიხეილ კალატოზიშვილის ფილმი „ჯიმ შვანთე“ („მარილი სვანეთს“) (1930 წ.).


განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბჭოთა კავშირის პერიოდში დამკვიდრებულ ე.წ. ფორმალიზმსა და ასევე ცენზურის გავლენას ქართულ კინოზე. საუბარი იქნება რეჟისორების: მიხეილ ჭიაურელის, მიხეილ კალატოზიშვილის და ნიკოლოზ შენგელაიას შემოქმედებაზე.

1950-იან წლებში ქართული კინო კვლავ აღორძინდა და შემოქმედებით სიმალეებს დაუბრუნდა ისეთი რეჟისორების წყალობით, როგორცაა თენგიზ აბულაძე, რემო ჩხეიძე, ელდარ შენგელაია, ოთარ იოსელიანი, გიორგი შენგელაია და ლანა ლოლობერიძე. პროგრამის ფარგლებში ასევე ნაჩვენები იქნება ბოლო დროის წარმატებული თანამედროვე ქართული კინო.

გარდა სრულმეტრაჟიანი ფილმებისა, ნაჩვენები იქნება დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები. დაგეგმილია ლექციები კონკრეტული ფილმის თაობაზე, ან საუბრები ფილმის რეჟისორებთან.




deutsches
filminstitut
filmmuseum



კოტე მიქაბერიძე. საარქივო მასალა, შემოქმედებითი ბიოგრაფია, ფილმოგრაფია

(ინგლისურენოვანი)




2018 წლის ოქტომბერში დაგეგმილ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, გერმანიის კინოს მუზეუმთან Deutsches Filmmuseum და კინოს და ვიდეო ხელოვნების ინსტიტუტი - არსენალთან ერთად, გამართავს ქართული კინოს ჩვენებებსა და დისკუსიებს, რომელიც მოიცავს კლასიკურ პერიოდს - უხმო კინოს ხანიდან დაწყებული საქართველოს მიერ 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე.

ქართული კინოსეანსების დროს გაიმართება წიგნის პრეზენტაცია, რომელიც ცნობილი ქართველი კონორეჟისორის - კოტე მიქაბერიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება.

1 - 10 ოქტომბერი 2018

ჯიბის კაცი

ფრანკფურტის ბიბლიოთეკა Höchst უმასპინძლებს ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული ანიმაციური ფილმის „ჯიბის კაცი“ ჩვენებას და ფილმში გამოყენებული დეკორაციებისა და ილუსტრაციების გამოფენას.



7 – 12 ნოემბერი 2018

8 კოტბუსის ფესტივალზე იგეგმება ფოკუსი ქართულ კინოზე



ბერლინიდან 120 კმ-ის დაშორებით, ქალაქ კოტბუსში ყოველ წელს იმართება საერთაშორისო კინოფესტივალი. პირველად, კოტბუსმა კინოფესტივალს 1991 წელს უმასპინძლა, რომელიც ძალიან მალე, აღმოსავლეთ ევროპული კინოსამყაროს წამყვანი კინოფორუმი გახდა.

საფესტივალო კინოსექციების პარალელურად, ფესტივალზე ფუნქციონირებს ინდუსტრიული პლატფორმა „Connecting Cottbus“, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ქვეყნის კინოპროფესიონალებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და კო-პროდუქციების შექმნაში.

2015 წელს, ფესტივალს 25 წელი შეუსრულდა და მას 20,000 ადამიანი დაესწრო მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან. ერთ-ერთმა წამყვანმა მედია გამოცემამ „ვარიეტემ“, კოტბუსის კინოფესტივალი "აუცილებლად სანახავ საერთაშორისო ღონისძიებად" მოიხსენია და „მსოფლიოს 50 მნიშვნელოვან კინოფესტივალს" შორის დაასახელა.

კოტბუსის კინოფესტივალის ფოკუს ქვეყანა წელს საქართველო იქნება.

1- 6 მაისი 2018

2018 წლის 1-6 მაისს საქართველო იქნება შვედინის კინოფესტივალის FILMKUNSTFEST-ის ფოკუსში



საგამოფენო პროგრამა

28 სექტემბერი 2018 - 13 იანვარი 2019

პრესს კონფერენცია სამშაბათი, 27 სექტემბერი 2018, 11 a.m.



გერმანიის არქიტექტურის მუზეუმში

თბილისის ჰიბრიდი

რეფლექცია არქიტექტურაზე საქართველოში

არქიტექტორის მუზეუმის დირექტორი - **ჰიტერ შმალის**

კურატორი **ირინა ქურთიშვილი**

ექსპოზიციის დიზაინი - **მარიო ლორენცი**

გამოფენა სახელწოდებით „თბილისის ჰიბრიდი“, ითვალისწინებს ევროპის ფართო საზოგადოების ინტერესს ქართული ხელოვნების და კულტურის მიმართ და დამთვალიერებელს სთავაზობს საქართველოს არქიტექტურის ერთგვარ რეტროსპექტივას, რომელიც საზოგადოებრივი ფორმაციების ცვლილებების ფონზე მიმდინარე ურბანული პროცესების ტრანსფორმაციას ასახავს.

გამოფენის მიზანია თბილისში არსებული ნაგებობების სისტემური წარდგენა, ტრადიციული და ხელოვნურად შექმნილი სივრცეების ანალიზი; დედაქალაქში მცხოვრები ადამიანების ფასეულობების, ცხოვრების სტილის ჩვენება, რამაც დღევანდელი არქიტექტურული სურათი, ე.წ. „თბილისის ჰიბრიდი“ განაპირობა.



Photo by Peter Cachola Schmal, 2017


museum angewandte kunst

ლარა მიცავს მე . ამბები საქართველოდან

კურატორი მაჰრეტ კუპკა

თბილისი, ამბობენ ახალი ბერილიაო. სადღეღამისო ცხოვრების სტილი ჩვეულებრივ ამბად იქცა ბევრი თბილისელისთვის. ისტორიული საბაჭრო და კულტურული მარშრუტების გასაყარზე მდებარი ქალაქი ყოვეთვის განსხვავებულ ადამიანებს უყრიდა თავს, გაუაზრებლად, დაპყრობითა თუ შემოჭრით ან უბრალოდ თავშესაფარს სთავაზობს დევნილებს. ადგილობრივი საზოგადოება იშვითათ ირეობა , პირიქით გამჭვირვალე საზღვრებს ქმნიდა რომლის მეშვეობითაც კულტურათა ეკლექტიკურ გაერთიანებას უწყობდა ხელს., რომლებით გვერდი გვერდ თანაარსებოდნენ. რა შეიძლება დღეს იყოს შეიგრძნოთ აქედან?

გამოფენაზე წარმოდგენილი ვიდეო ნამუშევრები, ფოტოგრაფია, დიზაინის ობიექტები სხვადასხვა ისტორიებს მოგვითხრობენ. თანამედროვე მხატვრების და დიზაინერების ისტორიები საქართველოდან ეს არის ამბები პასუხების გარეშე, იმისათვის რომ აღმოვაჩინოთ ისეთი ქვეყანა, რომელიც პასუხებზე უფრო მეტ შეკითხვას გაგვიჩენენ.



21 სექტემბერი - 25 ნოემბერი 2018



ფრანკფურტის ფოტოგრაფიის ფორუმი

სურათების ენა. ფოტოგრაფიის ხელოვნება საქართველოდან

გამოფენის კურატორი: სელინა ლუნსფორდი, ფრანკფურტის ფოტოფორუმის კურატორი და სამხატვრო ხელმძღვანელი

ისტორიული ხელოვანები: ალექსანდრე როინაშვილი და დიმიტრი ერმაკოვის კოლექციებიდან

თანამედროვე ხელოვანები: გურამ წიბახაშვილი, ბესო უზნაძე, ნათელა გრიგალაშვილი, დინა ოგანოვა, ლადო ლომითაშვილი

ქართული ფოტოგრაფიის გამოფენა აერთიანებს ისტორიულ და თანამედროვე ქართველი ფოტოგრაფების ნამუშევრებს. ასეთ მასშტაბის გამოფენა რომელიც ქართული ფოტოგრაფიის მრავალფეროვნებაზე საუბრობს პირველად ეწყობა. გამოფენა წარმოადგენს ვიზუალურ ისტორიებს, ტრადიციულ და პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით; 1980 -2000 წლების დოკუმენტურ ფოტოგრაფიას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდს უკავშირდება;

ასევე ასახავს ახალ ვიზუალურ ძიებებს პორტრეტის უნარში და ახალგაზრდა ქართველი ფოტოგრაფების ნამუშევრებს რომელიც მოიცავს ბეჭდურ პუბლიკაციებსა და ფოტოგრაფიის სხვადასხვაგვარ მატერიალიზაცია, ლექციების სერიას, შეხვედრებს წამყვან ქართველ ფოტოგრაფებთან და ფოტო ფესტივალების ხელმძღვანელებთან.




14 სექტემბერი - 11 ნოემბერი 2018

თეა ჯორჯაძე (პერსონალური გამოფენა)

კურატორი: კრისტინა ლენჰერტი

გალერეა პორტიკუსში წარმოდგენილი იქნება ქართველი თანამედროვე მხატვრის თეა ჯორჯაძის პერსონალური გამოფენა (14.09-11.11.2018), რომელის ფარგლებში წარმოდგენილი ინსტალაციები ფრანკფურტის წიგნის ბაზრბოხის საქართველოს საგამოფენო პროგრამისთვის შეიქმნება.

გამოფენის გარდა თეა ჯორჯაძე ჩაატარებს ღია ლექციას და მასტერკლასს Städelshule-ს (ფრანკფურტის სახვითი ხელოვნების აკადემია) სტუდენტებისთვის.



^ Exhibition view South London Gallery 2015, Photo: Andy Stagg

< Installation view documenta 13, 2012

11-18 ოქტომბერი 2018

MMK MUSEUM FÜR MODERNE KUNST
FRANKFURT AM MAIN

ფრანკფურტის მოდერნიზმის მუზეუმი

ანდრო ვეკუას ნამუშევრების ვიდეო-პრეზენტაცია

კურატორი: სუზან ფეფფერი

მუზეუმი წარმოადგენს ერთერთ გამოჩენილ ქართველ ხელოვანს ანდრო ვეკუას ახალი ნამუშევრების ვიდეო პრეზენტაციას. თანმხლები პროგრამის ფარგლებში გაიმართება ავტორთან და კურატორთან საუბრები. პარალელურ პროგრამაში პოეტ რატი ამღლობელთან თანამშრომლობით გაიმართება პერფორმანსი.



13 სექტემბერი -14 ოქტომბერი 2018



ჯგუფი ბულიონი

დირექტორი: ფელიქს რუჰოლი

კურატორი: ქრისტინ მულერი

მონაწილეები: ნატალია ვანაძე, თეიმურაზ ქართველიშვილი, ვლადიმირ ხართიშვილი, კონსტანტინე ქიტიაშვილი, ეკა ქეძბაია, და ზურაბ კიკვაძე.

ჯგუფი ბულიონი დაარსდა 2008 წელს, კოლექტივის წევრები არიან ნატალია ვანაძე, თეიმურაზ ქართველიშვილი, ვლადიმირ ხართიშვილი, კონსტანტინე ქიტიაშვილი, ეკა ქეძბაია, და ზურაბ კიკვაძე. მათი პერფორმანსებში რომლებიც, მეტად საჯარო სირცხევში იმართება, ქართული კულტურის მრავალფეროვან და მულტიკულტურულ ასპექტებს ეხმაურება, მათ შორის საქართველოს ურთიერთობას დასავლეთ ქვეყნებთან.

ამავდროულად ჯგუფი აქტიურად აანალიზებს და კრიტიკულად წარმოაჩენს საბჭოთა წარსულს. ჯგუფი გამოირჩევა განსაკუთრებული პერფორმატიული ენის ფორმატით, რომლის მეშვეობითაც ისინი ეხმაურებიან საზღვრებს ხელოვნებასა და ცხოვრებას, ხელოვნებასა და საჯარო სივრცეს შორის. გამოფენის ფარგლებში მათი ძველი ნამუშევრების ვიდეო დოკუმენტაცია და ახალი პერფორმანსები იქნება წარმოდგენილი.



14 სექტემბერი 2018 - 14 ოქტომბერი 2018

ATELIFRANKFURT

ატელიე ფრანკფურტი




ქართული ვიდეო ხელოვნების და მოძრავი გამოსახულების გამოფენა

გამოფენის კურატორები გიორგი სპანდერაშვილი, ალექსი სოსელია

2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის პარალელური ქართული კულტურის პროგრამის ფარგლებში ქართული ვიდეო ხელოვნებისა და მოძრავი გამოსახულების გამოფენა იქნება წარმოდგენილი. საგამოფენო კონტექსტისთვის შექმნილი ქართული ვიდეო ხელოვნება და მოძრავი გამოსახულება მისთვის დამახასიათებელი ფორმით აღწერს დამოუკიდებელი, პოსტ საბჭოთა საქართველოს ისტორიას.

ტრადიციული ხელოვნების ფორმებთან ერთად, მნიშვნელოვანია თანამედროვე მხატვრული ფორმების რეპრეზენტაცია საერთაშორისო კულტურულ კონტექსტში, რადგან ახალი მედიები ხელოვნებაში ბევრად უფრო ადეკვატურად წარმოადგენს დღევანდელი რეალობის აღქმას და მის მხატვრულ რეპრეზენტაციას.

www.videoimage.ge



6 ოქტომბერი, 2018 წ. – 10 თებერვალი, 2019 წ.

Archäologisches Museum Frankfurt am Main

მანის ფრანკფურტის არქეოლოგიური მუზეუმი

"ოქრო და ღვინო საქართველოში"

კურატორები: სვენდ ჰანზენ, კატრინ ბასტერტ-ლამპრიხს, ერეკლე ქორიძე

გამოფენა წარმოაჩენს ადრეული კულტურების განვითარებას საქართველოს ტერიტორიაზე კავკასიაში სამინათმოქმედო კულტურის განვითარების დასაწყისიდან (6000 წ. ჩვენს წ. აღ-მდე) შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურის ჩათვლით (2100 – 1700 წწ.).

კავკასია ყოველთვის კულტურათა გზაჯვარედინი იყო. ზემოთაღნიშნულ პერიოდში საქართველო დაკავშირებული იყო მესოპოტამიისა და ჩრდილო პონტოური სტეპების, ასევე, შავი ზღვის კულტურებთან. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ქართულ-გერმანული არქეოლოგიური პროექტების უახლესი შედეგები. მრავალი არტეფაქტი პირველად იქნება გამოფენილი.

გამოფენის ილუსტრირებული კატალოგი მოიცავს არამართო სტატიებს, არამედ არქეოლოგიური კვლევების ანგარიშებსაც, სადაც უახლესი აღმოჩენების შესახებ შეიტყობს მკითხველი.



11 ოქტომბერი, 2018 წ. – 18 ნოემბერი, 2018 წ.

Naturmuseum Senckenberg

ზენკენბერგის საბუნებისმეტყველო მუზეუმი

"პირველი ევროპელები" (პირობითი სათაური)

კურატორი: დავით ლორთქიფანიძე

დამანისელი ჰომინინის თავის ქალა D4500 აღმოჩნდა 2005 წლის არქეოლოგიური გათხრებისას. ახალი თავის ქალა და 2000 წელს აღმოჩენილი დიდი ქვედა ყბა ერთ ინდივიდს მიეკუთვნება და ორივე ერთად იმ პერიოდის საუკეთესოდ შემონახულ თავის ქალას (ე.წ. „მეხუთე თავის ქალა“) ქმნის.

ხანგრძლივი განამარხების პერიოდში ძვლოვანი ნაშთები (ადამინისა თუ ცხოველის) ზიანდება, დეფორმირდება და ტყდება, თუმცა D4500 თავის ქალა ამ მხრივ უნიკალური გამოჩენისია, რადგან 1,77 მილიონი წლის განმავლობაში იერსახე არ შეცვლია და ადრეპლეისტოცენის ხანის (2,5-0,8 მილიონი წელი) ზრდასრული ინდივიდის ერთადერთი საუკეთესოდ შემონახული ნიმუშია. ეს თავის ქალა პირველია, რომლის მიხედვითაც მეცნიერებს შეუძლიათ აქამდე უცნობი ადრეული ადამიანის ანატომიის შესწავლა.



5 ოქტომბერი, 2018 წ. – 10 თებერვალი, 2019 წ.

Liebeighaus Skulpturensammlung

ლიბიგჰაუსის ქანდაკების მუზეუმი

“მედეას სიყვარული და ნადირობა ოქროს საწმისზე”

კურატორები: ვინცენც ბრინკმან, ნინო ლორთქიფანიძე

ლიბიგჰაუსის ქანდაკების მუზეუმი მაინის ფრანკფურტში გეგმავს მედეასა და არგონავტების მითის ამსახველ გამოფენას. ბრწყინვალე ოქროსა და ბრინჯაოს ექსპონატები კოლხეთიდან და იმდროინდელი საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან წარმოდგენილი ბერძნული და რომაული ხელოვნების ნიმუშებთან ერთად მოგვითხრობს ბერძენი გმირების თავგადასავლებსა და მედეას საბედისწერო ამბავს.





KLINGSPOR
MUSEUM
OFFENBACH

ტიფლისი ჩემს ფიქრებში

KMO მუზეუმის დირექტორი - შტეფან შოლტეკი

გამოფენის კურატორი - გიორგი კალანდია

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, საქართველოს ხელოვნების სასახლე ოფენბახის შრიფტის მუზეუმში ქართული ანბანისადმი მიძღვნილ გამოფენას გამართავს. ექსპოზიცია მოიცავს პერიოდს მე-5 საუკუნიდან (ბოლნისის სიონის ცნობილი წარწერა) შრიფტის თანამედროვე ხელოვნებამდე. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ისეთი უნიკალური გამოცემები როგორებიც არის: რომში, 1629 წელს დაბეჭდილი ქართულ-იტალიური ლექსიკონი, 1709 წელს ვახტაგ მე-6-ის ბრძანებით ტფილისში გამოცემული ქართული სახარება. ასევე, ძვირფასი ხელნაწერები მუზეუმის მზრუნველთა საბჭოს თავჯდომარის - არჩილ გელოვანის კოლექციიდან. მათ შორის აღსანიშნავია 16-17 საუკუნის სასულიერო წიგნები, ქართული სამართლის კანონთა კრებული და ა. შ.

ოფენბახში მისულ დამთვალიერებელს საშუალება ექნება უნიკალურ გამოცემებთან ერთად ქართული შრიფტის დიდოდტატთა ნამუშევრები იხილოს, მათ შორის აღსანიშნავია ტარასი არხიმანდრიტის, გრიგოლ ტატიშვილის, ლადო ქუთათელაძის, თეიმურაზ ყუბანეიშვილის შემოქმედება. ფრანკფურტის გამოფენაზე მიემგზავრება ისეთი რარიტეტული ქართული პერიოდიკაც როგორიცაა, "H2SO4", "სანახაობა", "სახიობა" და ა. შ.

თანამედროვე ქართველ ხელოვანთაგან ოთარ მეგრელიძის, გიორგი სისაურის, სოფიო კინწურაშვილის, მანანა არაბულის, დიმიტრი თოფურიძის და სხვათა მიერ შექმნილი დამწერლობისა და ტიპოგრაფიკის ნიმუშები დამთვალიერებელს მრავალსაუკუნოვანი ქართული ანბანის თანამედროვე ცხოვრებას აჩვენებს.

